ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №37

06.03.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **მაია ბითაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **საბა ფიფია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. **თამაზ დარჩიძე** - თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი;
5. **გიორგი თარხნიშვილი** - თბილისის ბოტანიკური ბაღის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსი;
6. **ლელა ებრალიძე** - მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" თანადამფუძნებელი და დირექტორი;
7. **ნანა ხურითი** - მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" წარმომადგენელი;
8. **ეკატერინე შეროზია** - მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" წარმომადგენელი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატყეო ტერიტორიებზე არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების ანგარიშის შესახებ - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძე/

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების (სამუშაოების) ანგარიშის თაობაზე - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" წერილებით (№10/0319063137-03 04.03.2019წ; და №10/031906447-03 05.03.2019წ;) წარმოდგენილი პროექტების პრეზენტაცია

/**მომხსენებელი:** მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" თანადამფუძნებელი და დირექტორი ლ. ებრალიძე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატყეო ტერიტორიებზე არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების ანგარიშის შესახებ

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა მ. ბითაძე.

მომხსენებლის (მ. ბითაძე) მიერ წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატყეო ტერიტორიებზე არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების ანგარიშის (ოქმს ერთვის) გაცნობის შემდეგ საკითხის მოსმენა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ კერძო კომპანიების საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე დაავადების შედეგად გამხმარი ფიჭვის ხეების ახალი ხე-ნარგავებით ჩანაცვლების ღონისძიებების განხორციელებისა და ამ მიზნით მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ქ-ნმა თ. ნიბლოშვილმა - ტერიტორიების სამშენებლოდ გამოყენების მიზნით ფიჭვოვანი ხეების ხელოვნურად (განზრახ) გახმობის შესაძლებლობისა და იმ მექანიზმების შესახებ, რომლითაც შეიძლება დადგინდეს ხე-ნარგავის ხელოვნურად ხმობის ფაქტი.

ქ-ნმა თ. ნიბლოშვილმა მაგალითად მოიყვანა ე.წ. „ელიავას ბაზრობის" მიმდებარე ტერიტორიაზე მასობრივად გამხმარი ხეების მდგომარეობა, რაც ეჭვს იწვევს.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ქ-ნმა მ. ბითაძემ, რომლის განმარტებით, დედაქალაქის მასშტაბით არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა შესაბამისი ღონისძიებების გატარების საკითხი. აღნიშნული თემა დეტალურად და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი. ფიჭვების დაავადება და ამ მიზეზით მათი ხმობა, ხელოვნურად არ არის გამოწვეული. დაავადება მთელი ქვეყნის მასშტაბითაა გავრცელებული და საჭიროებს დროულ და კომპლექსურ ჩარევას.

მრავალი წელია სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე არ ახორციელებდნენ შესაბამის ჭრებს, თუმცა არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ფიჭვების დაავადების გავრცელების შეჩერების მიზნით, დაიწყო როგორც დაავადებული ხე-მცენარეების მოჭრის, ასევე, მათი ახალი ხე-ნარგავებით ჩანაცვლების სამუშაოები. იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კერძო კომპანიების, სახელმწიფო ან ნახევრად სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენენ, მასობრივად დაავადებული ხეების ჩანაცვლება თუ არ განხორციელდა შესაბამისი სტანდარტისა და ჯიშის ხეებით, მძიმე ვითარება შეიქმნება დედაქალაქში.

ქ-ნმა მაია ბითაძემ ასევე ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც ახალი ნერგებით ჩანაცვლებისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის საკითხთან დაკავშირებით კერძო კომპანიებთან გამართულ მოლაპარაკების პროცესში წარმოიშვა. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა ვადებისა და დასარგავი ხე-ნარგავების სტანდარტის დაცვის საკითხი. შესაძლოა, ტერიტორიის მესაკუთრემ რგვები განახორციელოს დაავადებული ხე-ნარგავების მოჭრიდან 5-10 ან მეტი წლის შემდეგ, თან დასარგავად შეირჩეს ისეთი ჯიშის ხე, რომელიც არ შეესაბამება ურბანულ გარემოს (თბილისის არქიტექტურას ან კლიმატს) ან არ იყოს ეფექტიანი ქალაქისთვის.

ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, საკუთარი სახსრებით განახორციელოს ყველა სამუშაო, რათა შენარჩუნდეს დედაქალაქის მწვანე საფარი

როგორც სატყეო და სარეკრეაციო, ასევე სპეციალურ ზონებსა (სამედიცინო დაწესებულებების ტერიტორიები) და შიდაკვარტალურ ზონებში (შიდა საუბნო გამწვანებები).

ქალბატონი თ. ნიბლოშვილის დასმულ შეკითხვას ხე-მცენარეების ხელოვნურად ხმობის თაობაზე უპასუხა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ხის მექანიკური დაზიანების გამომწვევი მიზეზებისა და ხარისხის დადგენის მექანიზმების შესახებ.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საექსპერტო დასკვნებით ძალიან იშვიათად დასტურდება ხე-მცენარის ხელოვნურად (განზრახ) დაზიანების ფაქტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის საფუძველზე დადასტურდება ნარგავის ხელოვნურად დაზიანების ფაქტი, დამნაშავეს, გამოვლენის შემთხვევაში, დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელი - ჯარიმა, ხოლო „წითელ ნუსხაში" შეტანილი ხის დაზიანების/ხმობის გამოვლენისას მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქცია.

სხდომაზე სხვა შეკითხვები, წინადადებები და განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სატყეო ტერიტორიებზე არსებული ფიჭვის ხეების დაავადების გამოვლენისა და იდენტიფიცირების ანგარიში.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული ღონისძებების (სამუშაოების) ანგარიშის თაობაზე

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2018 წლის 12 ივლისის სხდომაზე (ოქმი №19) წარმოდგენილი იქნა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის 6 თვის ანგარიში, რომელიც ასევე აისახა მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილ წლიურ ანგარიშში.

წარმოდგენილი ანგარიში, სამსახურის სტრუქტურიდან გამომდინარე, ითვალისწინებს შემდეგ ოთხ მიმართულებას:

1. გარემოსდაცვითი მართვის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მომზადდა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, გამწვანებული ტერიტორიებისა და მწვანე ნარგავების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც

არეგულირებს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებებს, გამწვანებული ტერიტორიების, მათ შორის, ბაღების, სკვერების, პარკებისა და ტყე-პარკების სპეციალური დაცვისა და განვითარების წესებს. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ურბანულ სივრცეში მერქნიანი მწვანე ნარგავების სანიტარული და სპეციალური ჭრის, ავარიული და შენობა-ნაგებობების დამაზიანებელი მერქნიანი მწვანე ნარგავების ჭრის, სამშენებლო მიზნით მერქნიანი მწვანე ნარგავების ჭრის და გადარგვის წესებსა და შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიებებს. ასევე, მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა ან/და ამოძირკვის, მათი განზრახ დაზიანებისა და განადგურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისა და ანაზღაურების წესს.

- მომზადდა ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი, რომლის მიზანია, ჯანსაღი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს უზრუნველსაყოფად, ამტვერებადი მასალიდან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის პრევენციისათვის რეგულაციების დაწესებით, ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით დაბინძურების შემცირება.

კანონპროექტი ითვალისწინებს სამშენებლო პროცესისა და სამშენებლო მოედნების რეგულირების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეებში, ასევე სამშენებლო მოედნებზე შეუფუთავი ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსებისათვის სპეციფიკური სანქციების დაწესებას. კანონპროექტი, ასევე აწესებს სანქციას ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავების, მათ შორის, დაჭრის, დაფქვის, დახერხვისა და დაქუცმაცებისათვის. კანონპროექტი, ასევე ითვალისწინებს სანქციებს ამტვერებადი მასალის გადაუხურავი ან/და არასათანადოდ გადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვისათვის, ამასთანავე, ასეთი მასალის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკრებულოს მიერ დადგენილი წესის დარღვევით რეალიზაციისათვის.

- ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა ტექნიკური დავალება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის შესამუშავებლად, რომელშიც წარმოდგენილი იქნება დედაქალაქში მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოდელი.

- USAID-ის მხარდაჭერით და ,,კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის" (CENN) ორგანიზებით შემუშავდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის პოლიტიკა და ხედვა ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული გეგმა შესაბამისობაშია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ნარჩენების მართვის

იერარქიასა (რაც გულისხმობს პრევენციას, მეორად გამოყენებას, რეციკლირებას, აღდგენა და ნაგავსაყრელზე გარემოზე უსაფრთხო გზით განთავსებას) და ძირითად პრინციპებთან.

გეგმის საბოლოო ვერსია დამტკიცდება მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ნარჩენების სეპარირების სისტემის დანერგვის ხელშესაწყობად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, შპს ,,თბილსერვის ჯგუფს", ,,კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელსა" (CENN) და ,,საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაციას" შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, დედაქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსდა 13 ერთეული სეპარირებული ურნა.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავი) დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით და შესაბამისი სანიტარული დაცვის ზონების დასადგენად განხორციელდა თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევა.

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა სანიტარული დაცვის პირველი და მეორე ზონა და მართვის სპეციალური რეჟიმი. ასევე, მომზადდა რეკომენდაციები, რომლის შესაბამისად, მიზანშეწონილია, თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის დაბალი ინტენსივობით განვითარება და მისი ბუნებრივი ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ღირებულების მაქსიმალურად შენარჩუნება.

- თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის სანიტარული დაცვის ზონების დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- მდინარე ვარაზისხევის ზემო წელის მარჯვენა და მარცხენა ფერდების (ნინო ჟვანიას ქუჩა) დეტალურად შესწავლის მიზნით, ასევე მდინარის ხეობაში ღვარცოფული ნაკადების რისკების შესაფასებლად და მდინარის ფერდობებზე არსებული და პოტენციურად მეწყერსაშიში უბნების იდენტიფიცირების, მათი მოქმედების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზისა და შემდგომი დინამიკის პროგნოზირებისათვის მიმდინარეობს ზემოაღნიშნული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური), ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა, რომლის საფუძველზეც მომზადდება შესაბამისი ანგარიში, სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები, რომელიც საფუძვლად დაედება პრევენციული დამცავი ღონისძიებების გასატარებლად სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას.

კვლევის პირველი ეტაპის ფარგლებში კონტრაქტორი კომპანიის (შპს ,,ბიზნეს ჯგუფის") მიერ წარმოდგენილი იქნა საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) და ჰიდროგეოლოგიური კვლევის შედეგები.

- ქალაქ თბილისში, თემქის ხევის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობის მიზნით მიმდინარეობს აღნიშნული ტერიტორიის კვლევა, რომლის ფარგლებში განხორციელდება თემქის ხევის მიმდებარე ტერიტორიის დეტალური შესწავლა და კვლევის შედეგების მიხედვით ისეთი არეალების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ სახის სარეკრეაციო ზონის მოწყობა. კვლევის შედეგების მიხედვით, უნდა განისაზღვროს სარეკრეაციო ზონების მოწყობისათვის ვარგის ტერიტორიებზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა და მისი გაჯანსაღებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, ასევე შემუშავდეს ამ ტერიტორიების შემდგომი გამოყენების კონცეპტუალური გადაწყვეტები.

- დედაქალაქში მდინარე მტკვრის სატრანსპორტო და ტურისტული პოტენციალის შესწავლისა და ათვისების მიზნით მომზადდა ,,ქალაქ თბილისში მდინარე მტკვარზე (,,ორთაჭალა ჰესიდან" ,,ზაჰესამდე" ტერიტორიაზე) საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ითვალისწინებს ჰიდროლოგიური, საინჟინრო, იხტიოფაუნისა და სატრანსპორტო (სანაოსნო) კვლევების ჩატარებას, რომლის ფარგლებშიც, ეკონომიკური დასაბუთების გათვალისწინებით, განხორციელდება მდინარის კალაპოტის დეტალური შესწავლა და შესაბამისი ანგარიშის მომზადება. ასევე, იმ ინფრასტრუქტურის, მათ შორის შენობა-ნაგებობების, მილსადენების, ხიდების და ელექტროკომუნიკაციების იდენტიფიცირება, რომლებიც უშუალოდ განთავსებულია მდინარის კალაპოტში ან კვეთს მას.

ამასთანავე, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შესაბამისად, კვლევის ფარგლებში მომზადდება რეკომენდაციები იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მდინარე მტკვარზე სამგზავრო და ტურისტულ-სანაოსნო მარშუტს და საჭიროების შემთხვევაში - პროექტს მდინარის კალაპოტის ფორმირების შესახებ მცურავი საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

2. **სატყეო პოლიტიკის მიმართულებით:**

- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით მომზადდა 26 ერთეული სატენდერო დოკუმენტაცია.

- ქალაქ თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე (ურბანული ტერიტორია და ტყე) მონიშნული იქნა 20 000 (ოცი ათასი) ზეხმელი ხე. აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 30 000 ლარი და დასრულდა 2018 წლის 3 აგვისტოს.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კუს ტბის მიმდებარედ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ეთნოგრაფიული მუზეუმი; საკადასტრო კოდი: №01.14.13.004.003) მომიჯნავედ არსებულ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 26 000 ლარი.

- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და თბილსერვის ჯგუფს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ზეხმელი ხეების მოჭრის მიზნით განხორციელდა სანიტარიული ჭრები. კერძოდ, კოჯორში, ოქროყანაში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილზე და ჯიქიას სასაფლაოს მიმდებარედ მოიჭრა 9 945 ძირი ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეები.

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოჭრილი მერქნული რესურსი (752 $მ^3$) გადაეცა გამგეობების შესაბამის ტერიტორიულ საუბნო ორგანიზაციებს.

- განხორციელდა 2016 წლის შემოდგომაზე დარგული ხეების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ინსპექტირება და მონიტორინგი (მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება); ყოველთვიურად ხორციელდებოდა 13 ხელშეკრულების ფარგლებში 170 მისამართზე დარგული 93 750 ნერგის მდგომარეობის შესწავლა.

- მცენარეთა ფიტოსანიტარული გამოკვლევების, მავნე ორგანიზმების შესწავლის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით ქალაქ თბილისის მასშტაბით, 180 მისამართზე განხორციელდა 90 000 ძირი ხე-მცენარის, 20 000 ბუჩქისა და 85 კვ.მ. ყვავილნარის მონიტორინგი. გაკეთდა ნიადაგის ჭრილი 650 ცალი; ამასთანავე, შემუშავებულია შესაბამისი სამეცნიერო დასკვნები განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

- ფიტოსანიტარიული კვლევების რეკომენდაციების შესაბამისად მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკური (წამლობა) ღონისძიებები განხორციელდა 123.5 ჰა ფართობზე. შედეგად შეიწამლა 120 000 ხე-მცენარე, 6000 ბუჩქი და 750 კვ.მ. ყვავილნარი.

- სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან (რომელიც წარმოადგენს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მთავარ ორგანოს საქართველოს მასშტაბით) თანამშრომლობით, მიმდინარეობს მონიტორინგი აზიური ფაროსანის გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით. განხორციელდა თბილისში განთავსებული 323 ფერომონიანი მწერმჭერის მონიტორინგი; აგრეთვე სურსათის ეროვნულ სააგენტოდან ცხელი ხაზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამატებით გადამოწმდა მოსახლეობიდან შემოსული 188 შეტყობინება. განხორციელებული წამლობის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა აზიური ფაროსანასთან ბრძოლისათვის გამოსაყენებელი პრეპარატებიც.

- ს. ცინცაძის, ასევე ვ. და ა. ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ ფართობზე მოეწყო გამწვანებული ტერიტორია; განხორციელდა 140 ძირი ხე-მცენარის (ტირიფი, ჰიმალაის კედარი, დეკორატიული ტყემალი, რობინია) დარგვა; მოეწყო სარწყავი სისტემა.

- მელიქიშვილის ქუჩაზე, ფილარმონიის წინ არსებულ ტერიტორიასა და ვერის პარკის მიმდებარედ განხორციელდა არსებული ბამბუკისფოთლიანი მუხის ნერგების შევსება; დაირგო 35 ძირი ნერგი.

- მიმდინარე წელს ვაკის პარკის, ვერის პარკის, 9 აპრილის პარკის, კიკვიძის პარკის, ბარათაშვილის ქუჩაზე, სააკაძის მოედანსა და სხვა ობიექტებზე ტერიტორიაზე განხორციელდა 57 000 კვ.მ. ტერიტორიაზე ჰიდროთესვის მეთოდით ბალახის თესვა.

- თბილისის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე შეტანილ იქნა 5900 კბ. მიწის ნოყიერი ნაზავი (ორგანული სუბსტრატი); სხვადასხვა ობიექტებზე მოიჭრა და გატანილ იქნა 300 კბ.მ. სტრუქტურადარღვეული ნიადაგი.

- საანგარიშო წლის განმავლობაში დაიგო 15000 კვ.მ. რულონური გაზონი.

- ტოპო გადაღების ჩატარების საშუალებით სხვადასხვა ობიექტებზე გატანილი და მიწოდებული ნიადაგის რაოდენობის ($მ^3$–ში) დადგენის მომსახურების ფარგლებში სხვადასხვა ობიექტზე აზომილ იქნა 25000 კვ.მ. ფართობი.

- მიმდინარე წლის 22 ივნისის №03.01/30/313 ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის შედგენის სამუშაოები". პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს თბილისის მწვანე ნარგავების ტყეების ფართობების იდენტიფიცირება, მათ შორის დაურეგისტრირებელი ფართობების აღრიცხვა მათი შემდგომი დარეგისტრირების მიზნით. საპროექტო ფართობი შეადგენს 11 900 ჰა-ს. აღნიშნული პროექტის ღირებულება შეადგენს 142 252 ლარი.

- საანგარიში პერიოდში განყოფილების ზედამხედველობით სხვადასხვა მისამართებზე დაირგო 2 771 მაღალტანოვანი (არანაკლებ 3 მ) ხე-მცენარე.

- მუდმივად ხორციელდება ცხელი ხაზით შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირება.

3. **მწვანე ლანდშაფტის დაგეგმარების მიმართულება:**

- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2018 წლის პირველ კვარტალში, დებულების შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განხილვებსა და შენიშვნების მომზადების პროცესში.

- შემუშავდა და დამტკიცდა იმ ხე-მცენარეთა ნუსხა, რომელიც გამოყენებული იქნება თბილისის გამწვანებისთვის.

- წლის პირველი კვარტალი ძირითადად დაეთმო დაგეგმილი გამწვანების ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებას, კერძოდ, განყოფილების მიერ მომზადდა ტექნიკური დავალებები და გამოცხადდა ტენდერი სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე.

- ქ. თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტერიტორიებისთვის დამუშავდა რეაბილიტაცია-მოწყობის არქიტექტურული და დენდროლოგიური პროექტები:
  - ჯ. ბალანჩინის და გ. მინდელის ქუჩებთან არსებული შუა გამყოფი ზოლის მოწყობის და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
  - იოანე პეტრიწის ქუჩაზე არსებული შუა ზოლის და მიმდებარედ არსებული თარგების მოწყობის და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
  - მარცხენა სანაპიროსა და აგლაძის ქუჩის კვეთაზე არსებული შუა გამყოფ ზოლსა და მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების თარგების მოწყობის და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
  - მირიან მეფისა და ჯ. ბალანჩინის ქუჩებთან არსებული შუა გამყოფი ზოლის და მიმდებარე თარგების (გუდვილის მიმდებარედ) და წყნეთის გზატკეცილსა და ჩოლოყაშვილის გამზირთან არსებული შუა გამყოფი ზოლისა და მიმდებარე თარგების (ბაგები-სამხარაულის ცენტრის ასახვევთან) მოწყობის და დენდროლოგიის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
  - ჯავახეთის ქუჩაზე არსებული თარგების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
  - პეკინის გამზირზე არსებული შუა გამყოფი ზოლი (სახელწმიფო არქივის მიმდებარედ) და დავით აღმაშენებლის ხეივანში ეროვნული დროშის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების თარგების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;
  - აეროპორტის თარგები და განაპირა ზოლი (ბუშის ქუჩიდან, „ადამიანი და მზის" მონუმენტამდე);
  - დიღმის ჭალებში ახალი საქალაქო პარკის მოწყობის პროექტი;
  - ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკის რეაბილიტაციის პროექტი;
  - ახვლედიანის ქუჩის მიმდებარედ (ორხევის დასახლება) არსებული სკვერის რეაბილიტაციის პროექტი;
- განხორციელდა ქ. თბილისში, ბუშის ქუჩის და მიმდებარედ არსებული თარგის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები.
- განხორციელდა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები:
  - გაბრიელ სალოსის გამზ. №47 და №49 კორპუსებს შორის არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - ცინცაძის ქ. №42/5-ის მიმდებარედ არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში მოეწყო ბორდიურები და ბილიკები;

- მოეწყო და აღდგა სარწყავი სისტემები სხვადასხვა ტერიტორიებზე;
- ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე განხორციელდა საპარკე ფურნიტურის აღდგენა;
- სხვადასხვა ტერიტორიაზე მოეწყო საბავშვო მოედნები და სხვა.

- განხორციელდა ქ. თბილისში, წურწუმიას ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული სკვერის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები და გლდანის მე-6 მ/რ, კორპ. №7-20-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი სკვერის მოწყობის პირველი ორი ეტაპის სამუშაოები;

- განხორციელდა ალ. ყაზბეგის გამზირზე მდებარე ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები.

- შესყიდულ იქნა 4 ერთეული ხელის სანავიგაციო და მეტეოროლოგიური ხელსაწყო Gps Map 64 (თანმდევი მომსახურებით ტრენინგი).

- ქალაქ თბილისში სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებულ დასასვენებელ სივრცეში დამონტაჟდა 40 ცალი წიწვოვანი ხის მასალით გაწყობილი საპარკე სკამი, 100 ლარიქსის ხის მასალით გაწყობილი თუჯის დეკორატიული საყრდენიანი საპარკე სკამი, „თბილისი"-ს წარწერის მქონე 145 ცალი თუჯის საპარკე სკამი და 70 ცალი T ფორმის ლითონის კარკასის მქონე საპარკე სკამი. ასევე, დამონტაჟდა 245 ცალი დეკორატიული სანაგვე ურნა ამოსაღები სათლით.

- შესყიდული იქნა: „აიწონა-დაიწონა", აქტივობის კოშკი, საქანელა, საბავშვო კომპლექსური ატრაქციონები (2 ტიპის). ატრაქციონები განთავსდა რიყეზე, 9 აპრილის ბაღის ზედა ტერასაზე, გაბრიელ სალოსის №160-ში არსებულ სკვერში (მოეწყო საბავშვო მოედანიც), ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული შუა გამყოფ ზოლში, გაბრიელ სალოსის №49-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში.

- ქალაქ თბილისში, პარლამენტის შენობის (რუსთაველის გამზირი №8) და სახვითი ხელოვნების მუზეუმის წინ (გუდიაშვილის ქ. №18) განხორციელდა არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე 43 ძირი მერქნიანი მცენარის დარგვა. დასრულდა 636 500 ცალი სხვადასხვა ჯიშის სეზონური ყვავილების შესყიდვა და დარგვა. ასევე განხორციელდა ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის 3453 ძირი დეკორატიული მცენარის (ბუჩქების) დარგვა.

- ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე დაირგო 3960 ძირი სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ბუჩქი.

- 2 250 ძირი დეკორატიული ბუჩქი დაირგო კოსტავა-შარტავას ქუჩებზე (ტობირას ფიტოსპორუმი, წყავი კულტივარი „novita" ბურთის ფორმა, წვრილფოთოლა ბზა კულტივარი „faulkner" ბურთის ფორმა, იაპონური (პრიალა) კვიდო, მარადმწვანე მახველი).

- 410 ძირი დეკორატიული ბუჩქი დაირგო ტაშკენტის ქუჩაზე, გლდანის მასივში, ა. მიცკევიჩის, ლ.კაჩინსკის, სამღერეთის, ქუჩებზე (სურო, პრიალა ძახველი, იულის კოწახური, დიდყვავილა აბელია, პრიალა ცხრატყავა).

- 1400 ძირი დეკორატიული ბუჩქი დაირგო ჭოველიძე-კოსტავას ქუჩების კვეთიდან პ. მელიქიშვილის ქუჩის გასწვრივ (ჩინური ჟასმინი, ფორჩუნის ჭანჭყატი კულტივარი „emerald'n gold", ფორჩუნის ჭანჭყატი კულტივარი 'emerald gayeti', პრიალა ცხრატყავა).

- ასევე 190 სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე დაირგო მარშალ გელოვანის გამზირზე (ვაშლიჯვრის ასახვევთან).

- 271 ძირი სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე დაირგო ქ. თბილისში, გლდანის მე-6 მიკრო-რაიონში, 7-20 კორპუსებს შორის არსებული ახალი პარკის ტერიტორიაზე.

- 6 557 ძირი სხვადასხვა სახეობის მერქნიანი მცენარე დაირგო ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიებზე კერძოდ: ,,თავისუფალი თეატრი"-ს მიმდებარედ; მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტრის მიმდებარედ; ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ურუშაძის სკვერში; ბორის პაიჭაძის სახელობის (,,დინამო") სტადიონის მიმდებარედ; ლოტკინის დასახლება; ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ; ვაკის პარკი; უზნაძის ქუჩაზე, ,,კერხერი"-ს ცენტრის მიმდებარედ; ხიზანიშვილის ქუჩა; „დედა ენის" ბაღი; დ. აღმაშენებელის გამზირი (24-ე სკოლასთან); ვ. გოძიაშვილის პარკის მიმდებარედ (52-ე სკოლასთან); დუმბაძის ქუჩა; ლეხ კაჩინსკის ქუჩა; მზიურის პარკი; ჯანაშიას ქუჩა; ჩიტაიას მოედანი; გაბრიელ სალოსის გამზირი; ზაქარიაძის ქუჩა; ჟ. შარტავას ქუჩა (მერიის მიმდებარედ); ფონიჭალის დასახლება; სოფ. გლდანულა; ჯ. ბალანჩინის ქუჩა; რუსთაველის გამზირი; გმირთა მოედანი; ორბელიანის სასახლის მიმდებარედ; ელიავას ბაზრობის მიმდებარედ; ჩოლოყაშვილისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე; თამარაშვილის ქუჩა; ორთაჭალა; ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე; დიდი დიღომი; ბაგებში, სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მიმდებარედ; სააკაძის მოედანი; ჯავახეთის ქუჩა; ჭავჭავაძის გამზირი; გაგარინის მოედანსა და პეკინის ქუჩებს შორის შუა გამყოფი ზოლი (არქივთან); პეტრიწის ქუჩა.

- ქ. თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე მოეწყო სარწყავი სისტემა (წყნეთის გზატკეცილსა და ჩოლოყაშვილის გამზირზე არსებული შუა გამყოფი ზოლი და მიმდებარე თარგები (სამხარაულის ცენტრის ასახვევთან), პეკინის გამზირის შუა გამყოფი ზოლი (არქივის შენობის მიმდებარედ), დიღომში, მირიან მეფის და ჯ. ბალანჩინის ქუჩებთან არსებული შუა გამყოფი ზოლი და მიმდებარე თარგები (გუდვილის მიმდებარედ); დიღომი-მირიან მეფისა და ჯ. ბალანჩინის ქუჩებთან (გუდვილის წინ); პეკინის გამზირის შუა გამყოფი ზოლში (სახელმწიფო არქივთან); წყნეთის გზატკეცილსა და ჩოლოყაშვილის გამზირთან არსებულ შუა გამყოფ ზოლში

და მიმდებარე თარგებში (სამხარაულის ცენტრის ასახვევთან); მარცხენა სანაპიროსა და აგლაძის ქუჩის კვეთაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარე თარგებში; ჩოლოყაშვილის გზატკეცილისა და ბახტრიონის ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ თარგებში; სააკაძის მოედანზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე; ვარკეთილში - ჯავახეთის ქუჩაზე, მოსკოვის ქუჩის გადაკვეთის წერტილიდან თბილისის ზღვის მიმართულებით შუა გამყოფ ზოლში და მიმდებარე თარგებში; სპორტის სასახლიდან სააკაძის მოედნამდე არსებულ თარგებში; დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე არსებულ თარგებში; ქ. თბილისში, გლდანის მე-6 მიკრო-რაიონში, 7-20 კორპუსებს შორის არსებული პარკში; ცინცაძეს და კარტოზიას ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ თარგებში; ქსნის ქუჩაზე ვარკეთილში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩაზე არსებულ თარგებში; ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ თარგებში.

- განხორციელდა ქ. თბილისში შერჩეულ გზაგამყოფ კუნძულებზე არსებული საფარის დემონტაჟის, სარწყავი სისტემის მოწყობის და ნიადაგის ნოყიერი ნაზავის შეტანის სამუშაოები (გმირთა მოედანი, თამარ მეფის გამზ., ცაბაძისა და წერეთლის ქუჩების კვეთა, ასათიანებისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთა. თამარაშვილი ქუჩა, ფეიქართა ქუჩა).

- განხორციელდა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული მწვანე სივრცეების (სარაჯიშვილის შუა გამყოფი ზოლი, ვასაძის შუა გამყოფი ზოლი, დუმბაძის გამზირი, ნონეშვილის ქუჩა, გობრონიძის ქუჩა, ახმეტელიდან მუხიანისკენ შუა გამყოფი ზოლი, ფონიჭალა, ერთიან მებრძოლთა ქუჩა, დინამოს სტადიონის მიმდებარედ არსებული წრიული კუნძული) ტოპო გეგმის შედგენა სულ 96 886 კვ.მ.

- ფრიდრიხ შტიფტუნგის ფონდის მიერ დაფინანსდა პროექტი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ჩართულობის გაზრდა მწვანე სივრცეების გეგმარებასა და მოვლა-პატრონობის საკითხებში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები თბილისის რაიონების მოსახლეობასთან.

4. **ნებართვების და მონიტორინგის განყოფილების მიერ:**

- 2018 წელს „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის'' საფუძველზე სულ გაიცა 337 ნებართვა მწვანე ნარგავების ჭრის ან/და გადარგვის შესახებ. აქედან: 266 ნებართვა გაიცა მწვანე ნარგავების ჭრაზე, ხოლო 71 - გადარგვაზე. სულ: 2018 წლის განმავლობაში გაცემულია 3476 ერთეული მწვანე ნარგავის ჭრისა და 558 მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვა. ნებართვის მოთხოვნაზე ნათქვამია უარი 34 შემთხვევაში.

- **სპეციალური ჭრის მიზნით** გაიცა 70 ნებართვა, მოჭრილი ხეების რაოდენობა 1009 ხე.
- **გადარგული მწვანე ნარგავები** - დადგენილების 21-ე მუხლის საფუძველზე მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ გაცემულია 71 ნებართვა. ნებართვის ფარგლებში გადაირგო 558 მწვანე ნარგავი.
- 2018 წელს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა შეითანხმა 197 გამწვანების პროექტი. პროექტების ფარგლებში დასარგავი ხეების რაოდენობა -7027 (3391 წიწვოვანი და 3636 ფოთლოვანი მწვანე ნარგავი).

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის გაცნობის შემდეგ ანგარიშის მოსმენა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ისაუბრა საქალაქო სამსახურის მუშაობის დადებითი შედეგების შესახებ, რის შემდეგაც დაზუსტების მიზნით დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

პირველი, ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს განხორციელდა სანიტარული ჭრები, მაგრამ დასაზუსტებელია მოიჭრა მხოლოდ გამხმარი (ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი) ხეები თუ ამავდროულად განხორციელდა დაავადებული ხე-მცენარეების მოჭრაც, რადგან, მოსახლეობა, რომელიც მიმართავს საკრებულოს წევრს, შიშობს რომ იჭრება ჯანმრთელი ხეები, რადგან ვიზუალურად, შესაძლოა, ხეს არ ემჩნეოდეს დაავადების ნიშნები.

მეორე, თუ არსებობს იმ მონიშნული 20 000 ხის ლოკაციის რუკა, რომლის მოჭრაც არის დაგეგმილი, რადგან მოქალაქეების შეტყობინებების საფუძველზე ირკვევა, რომ ხშირად საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია გეგმიური სანიტარული ჭრების შესახებ.

ბატონმა ლ. ჯაფარიძემ ასევე მიმართა თხოვნით საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ პირებს, მიმდინარე წელს სამსახურის მიერ დაგეგმილი გამწვანების ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია წინასწარ მიაწოდოს კომისიას.

ბ-ნმა რ. სოხაძემ:

- TBC ბანკისა და სამშენებლო დეველოპერული კომპანია M2-ის მიერ მთაწმინდის ფერდისა და „ვეფხვი და მოყმის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების ღონისძიებების თაობაზე;
- მწვანე საფარის შენარჩუნება-აღდგენის გარდა, ასევე, ახალი ტერიტორიების ათვისება-გაფართოების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, რომლის ინფორმაციით, 2018 წელს განხორციელდა მხოლოდ ზეხმელი (გამხმარი) ხეების მოჭრის სამუშაოები, ხოლო, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ფიტო-სანიტარული კვლევების საფუძველზე, 2019 წელს დაიწყება იმ დაავადებული ხე-მცენარეების მოჭრაც, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას და დაავადებების გავრცელების წყაროა. არსებული მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, დაავადებული ხეების რაოდენობა გაზრდილია 10-15%-ით, რაც საჭიროებს დროულ ჩარევას.

მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე ბ-ნმა გ. გიგაშვილმა აღნიშნა, რომ სისტემატურად ხდება როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის, მისი მოადგილეების, ასევე, თავად საქალაქო სამსახურის მიერ შესაბამისი ელექტრონული მედიითა და სატელევიზიო გადაცემებით ინფორმაციის გავრცელება დაგეგმილი ჭრების შესახებ, მათ შორის ზუსტი მისამართების მითითებით.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, მთაწმინდის ფერდობის რთული რელიფის, ასევე, TBC ბანკის მიერ მთაწმინდის ფერდის გამწვანებისთვის გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით, საჭიროა დეტალების დაზუსტება, რის გამოც მოლაპარაკებები მიმდინარეობს TBC ბანკთან. სავარაუდოდ, შესაძლოა, სხვა ტერიტორიის შეთავაზების საკითხი დადგეს დღის წესრიგში. რაც შეეხება დეველოპერული კომპანია M2-ის მიერ განსახორციელებელ დენდროლოგიურ პროექტს, აღნიშნული საკითხი ტერიტორიის შესაბამისი კვლევისა და კვლევის საფუძველზე შემუშავებული პროექტის შემდეგ გადაწყდება.

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ასევე ისაუბრა ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობის საკითხზეც და აღნიშნა, რომ იგეგმება 2 დიდი საქალაქო მნიშვნელობის პარკის დაპროექტება-მოწყობა.

ქ-ნმა მ. ბითაძემ დამატებით ისაუბრა „ვეფხვი და მოყმის" ძეგლის მიმდებარედ მარშალ გელოვანის კვანძისა და მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის პროექტის თაობაზე.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - შიდასაუბნო ტერიტორიების გამწვანების განმახორციებელი კომპანიების თანამშრომლებისთვის სპეციალური, განმასხვავებელი ტანსაცმლის ტარების პირობის დადგენის შესახებ. ბატონმა რ. სოხაძემ მაგალითად მოიყვანა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ეკოსერვის ჯგუფის" თანამშრომლების სპეციალური, განმასხვავებელი ტანსაცმელი, რომელიც საზოგადოებაში დადებით დამოკიდებულებას იწვევს.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, შიდაკვარტალური გამწვანებები რაიონული გამგეობების დაქვემდებარებაშია, რომლებიც ტენდერს აცხადებენ გამარჯვებული კომპანიების გამოსავლენად. სატენდერო პირობებით გათვალისწინებულია სპეც.ტანსაცმლის მოთხოვნაც.

შეკითხვები დასვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ კერძო კომპანიების მიერ მუნიციპალური ტერიტორიების გამწვანების, ასევე, უკვე არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის ინიციატივებისა და ამ ინიციატივების განხორციელებისთვის დადგენილი პროცედურების თაობაზე.

ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მუნიციპალური ტერიტორიის გამწვანების ინიციატივით. ხოლო უკვე არსებული გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ინიციატივისას,

ხშირ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვალდებულების აღებაზე უარს აცხადებს, რადგან გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა საკმაოდ ძვირადღირებული საქმიანობაა.

აზრი გამოთქვა ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ. მან მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს გაწეული სამუშაოებისა და წარმოდგენილი ანგარიშისთვის.

კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების (სამუშაოების) ანგარიში.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" წერილებით (№10/0319063137-03 04.03.2019წ; და №10/031906447-03 05.03.2019წ;) წარმოდგენილი პროექტების შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანი"-ს თანადამფუძნებელმა და დირექტორმა ქალბატონ ლელა ებრალიძემ №10/0319063137-03 და №10/031906447-03 წერილებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიას და პრეზენტაციის მიზნით წარმოადგინა შემდეგი პროექტები:

1. ფოტოკონკურსი „საქართველო - ჩემი ბაღია";
2. „სარბენი ბილიკის გახსნა მარათონით";
3. „მწვანე ლაბირინთი ბოტანიკურში";
4. „ჩემი ოცნების ბაღი";
5. „მინიატურული ზღაპარი".

ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, ქ-ნმა ლ. ებრალიძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანი"-ს საქმიანობისა და განსახორციელებელი პროექტების თაობაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, მოყვარულ მებაღეთა კლუბი იურიდიულად დაფუძნდა 2015 წლის დასაწყისში, რასაც წინ უძღოდა ორწლიანი ურთიერთობა კლუბის წევრებთან სამოქალაქო სივრცესა და სოციალურ ქსელებში. კლუბის მიზანია: გარემოს გამწვანება, რიგით მოქალაქეებში ფლორისტული განათლების გავრცელება, ადამიანების გადამზადება დარგის მოწვეული სპეციალისტების საშუალებით, საჭირო ინფორმაციისა და დონორების მოძიებაში დახმარების გაწევა; საქართველოს კანონმდებლობის, თანამედროვე აგროტექნოლოგიებისა და აგროსფეროს სხვა სიახლეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება-გავრცელება. კლუბი ფლორისტულ საქმინობაში მოზარდების ჩართვასაც ემსახურება, რათა მოზარდებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობას

ჩამოუყალიბდეთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა და შესაბამისი ცოდნის მიღების ინტერესი გაუჩნდეთ. კლუბის ხელშეწყობით დაარსდა სასარგებლო ქმედების ლაბორატორია „მეზღაპრეები“, რომელიც გარემოსდაცვით და ფლორისტულ საქმიანობაში ბავშვთა და მოზარდთა ჩართვას ემსახურება. სოციალურ მედიაში შექმნილია კლუბის გვერდი. კლუბი მოიცავს მთელ საქართველოს და წარმატებით ახორციელებს შემდეგ სოციალურ პროექტებს: ფოტოკონკურსი „საქართველო - ჩემი ბაღია“, „დაურგე დედამიწას ხე“, „ერთად გავამწვანოთ დედამიწა“ და სხვ.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ხუთი პროექტიდან უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს ფოტოკონკურსი „საქართველო - ჩემი ბაღია“, რისთვისაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო და მუნიციპალური სტრუქტურების მხარდაჭერა. ფოტოკონურსის ჟიური შეირჩევა როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისა და წინა კონკურსებში გამარჯვებული პირებისგან, ასევე, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებისგან. იმისთვის, რომ კონკურსში გამოვლენილ ნომინანტებსა და გამარჯვებულებს შეუნარჩუნდეთ სტიმული, საჭიროა რაიმე სახის წამახალისებელი ჯილდოების დაწესება. გარდა ამისა, კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალის ჩასატარებლად კლუბს ესაჭიროება შესაბამისი შენობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა რ. ჯაფარიძემ, რომელიც დაინტერესდა მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანი“-ს ოფისის მისამართით.

ბატონმა ლ. ჯაფარიძემ ასევე აღნიშნა, რომ კლუბის საქმიანობა მოწონებას იმსახურებს და კლუბის შემეცნებით-საგანმანათლებლო საქმიანობის გათვალისწინებით, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად შედგეს შეხვედრები თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან. ასევე, შესაძლებელია ფლორისტული გამოფენების მოწყობა საკრებულოს შენობაში, თამარ მეფის სახელობის ფოიეში.

ქალბატონი ლ. ებრალიძის განმარტებით, კლუბს რამდენიმე დღეა რაც საკუთარი ოფისი აქვს (მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №91ა).

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, ბ-ნმა თ. დარჩიძემ და ქ-ნმა თ. ნიბლოშვილმა, რომლებმაც მოიწონეს მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანი“-ს საქმიანობა და კლუბის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები.

ბოტანიკური ბაღის დირექტორმა ბ-ნმა თ. დარჩიძემ ისაუბრა თბილისის ბოტანიკური ბაღისა და მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანის“ მრავალწლიანი საქმიანი ურთიერთობის შესახებ და კლუბის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა შესაძლებლობის ფარგლებში.

ბ-ნმა თ. დარჩიძემ ასევე ისაუბრა ბოტანიკური ბაღის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ და კომისიის წევრებს სთხოვა, უახლოეს მომავალში, კომისიის სხდომაზე შედგეს ბოტანიკური ბაღის განვითარების სტრატეგიის, სტრატეგიული გეგმისა და ლანდშაფტის განვითარების გეგმის პრეზენტაცია.

ბატონი გ. გიგაშვილმა მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანი"-თან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოხატა საქალაქო სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა იმ სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და საზოგადოების ჩართულობაზე, რომლის გარეშეც სახელმწიფო ვერ განვითარდება. მან აღნიშნა, რომ ზუსტად მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანია" იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა მოხდეს გარემოსდაცვით ღონისძიებებში ადამიანების ჩართულობისა და აქტიურობის ხელშეწყობა.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ შემაჯამებელი წინადადებით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა მოყვარულ მებაღეთა კლუბ „CONSOLIDA/სოსანთან" თანამშრომლობის მზადყოფნა. შესაბამისად, შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, საჭიროა მოყვარულ მებაღეთა კლუბ "CONSOLIDA/სოსანის" წერილებით (№10/0319063137-03 04.03.2019წ; და №10/031906447-03 05.03.2019წ;) წარმოდგენილი პროექტები გადაგზავნილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე